ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება № 16

2011 წლის 29 აპრილი

ქ. ზუგდიდი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის საგანგებო სიტუაციების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად:

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. დამტკიცდეს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის საგანგებო სიტუაციების სამსახურის დებულება დანართი №1-ის შესაბამისად (დანართი №1 თან ერთვის).

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახანძრო- სამაშველო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალტეტის საკრებულოს 2009 წლის 11 თებერვლის №7 დადგენილება;

3. დადგენილება ამოქმედდეს ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ლ. კონჯარია

დანართი №1

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის საგანგებო სიტუაციების სამსახურის
დ ე ბ უ ლ ე ბ ა

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. ზოგადი დებულება

1. ზუგდიდის საგანგებო სიტუაციების სამსახური (შემდგომში ,,სამსახური'') არის ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის სტრუქტურული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოშობილი ხანძრების, ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის სტიქიური უბედურებების ლიკვიდაციას და სხვა სამაშველო ღონისძიებების ჩატარებას სამოქმედო ტერიტორიაზე. აგრეთვე, ახორციელებს სახელმწიფო ხანძარსაწინააღმდეგო ზედამხედველობის განხორციელებას აღმასრულებელი ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობის, კულტურის, საგანმანათლებლო, სააღმზრდელო, სამეცნიერო დაწესებულებებზე, საკონცერტო და სამაყურებლო დანიშნულების, სარკინიგზო და საჰაერო ტრანსპორტის, შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროს ობიექტებზე.

2. საგანგებო სიტუაციების სამსახური ანგარიშვალდებულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის წინაშე, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტთან ერთად კოორდინაციას უწევს დაქვემდებარებულ დანაყოფში სამსახურის საქმიანობას.

3. სამსახურს აქვს შტამპი, ბეჭედი და ბლანკი საკუთარი სახელწოდებით და სხვა საჭირო რეკვიზიტებით. სამსახურის ადგილსამყოფელია: 2100 ზუგდიდი, კედიას ქ. №1.

მუხლი 2. სამსახურის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები

1.სამსახური თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს ორგანული კანონით ,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ'', ,, საჯარო სამსახურის შესახებ'', ,,სახანძრო უსაფრთხოების შესახებ'' და ,,ბუნებრივი ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის შესახებ'' საქართველოს კანონით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შინაგან საქმეთა სამინისტროს, ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ორგანოების მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტებით, სხვა საკანონმდებლო, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით და ამ დებულებით .

მუხლი 3. სამსახურის სტრუქტურა

1. სამსახურის საქმიანობას წარმართავს სამსახურის უფროსი, რომელსაც ,,საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მუნიციპალიტეტის გამგებელი, შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტთან შეთანხმებით.

2.სამსახურის მოხელეთა თანამდებობაზე დანიშვნა-გათავისუფლება განისაზღვრება გამგეობის დებულებითა და „საჯარო სამსახურის შესახებ “ საქართველოს კანონის შესაბამისად .

3.უფროსის არყოფნის შემთხვევაში სამსახურის უფროსის უფლება-მოვალეობებს ახორციელებს სამსახურის უფროსის მოადგილე.

4. სამსახური თავისი საქმიანობით ანგარიშვალდებულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლის წინაშე.

მუხლი 4. სამსახურის ძირითადი ამოცანები და ფუნქციები

1. საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილებისა და მისი შედეგების ლიკვიდაციის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დაგეგმარება და რეალიზაცია .

2. საგანგებო სიტუაციების შედეგების სალიკვიდაციოდ გამოყოფილი ძალებისა და საშუალებების გამოყენებაზე ოპერატიული ხელმძღვანელობა .

3. ხანძარსაწინააღმდეგო ზედამხედველობის განხორციელება სახელმწიფო ხანძარსაწინააღმდეგო ზედამხედველობას დაქვემდებარებულ ობიექტებზე .

4. ხანძრების პროფილაქტიკის ორგანიზება და განხორციელება, მათი ჩაქრობა და დაკისრებული საავარიო - სამაშველო სამუშაოების ჩატარება .

5 ხანძრებისა და მათი შედეგების, ასევე პირველი რიგის საავარიო -სამაშველო (ტექნიკური) სამუშაოების ჩატარება და აღრიცხვის ორგანიზაცია .

6. სახელმწიფო ხანძარსაწინააღმდეგო ზედამხედველობის გავრცელების სფეროში საქართველოს კანონის ,,სახანძრო უსაფრთხოების შესახებ'' მე -11 მუხლით განსაზღვრულ ი სხვა ფუნქციების შესრულება .

7. სამაშველო ღონისძიებების განხორციელება ადამიანების სიცოცხლის დაცვის მიზნით მდინარეებზე და წყალსაცავებზე .

8. წყალქვეშა ტექნიკური და სხვა საძიებო (სამაყვინთო) სამუშაოების ჩატარება .

9. სამსახურის დანაყოფების მუშაობის ანალიზი, წინადადებებსა და ღონისძიებების მომზადება პირადი შემადგენლობის საბრძოლო მომზადების ამაღლებისათვის .

10. ხანძრის ჩაქრობაში და საავარიო -სამაშველო სამუშაოებში მონაწილე ყველა ფორმირებების ოპერატიულ ი მართვ ის განხორციელება .

11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შედგენასთან დაკავშირებით შეიმუშავებს და წარუდგენს დაქვემდებარებულ დანაყოფებში ხარჯთა ნუსხის პროექტებს, ამზადებს წინადადებებს სამსახურის ორგანიზაციისთვის საჭირო რიცხვიანობისა და სტრუქტურული საკითხების გადასაწყვეტად .

12. აკონტროლებს დაქვემდებარებულ დანაყოფებში სახანძრო ტექნიკისა და სამაშველო ტექნიკურ ი- შეიარაღების ექსპლოატაციის მდგომარეობას .

13. სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხებში ურთიერთთანამშრომლობს მუნიციპალიტეტის სხვა სამსახურებთან და ორგანიზაცია - დაწესებულებებთან .

14. საჭიროების შემთხვევაში მონაწილეობას იღებს სამაშველო ოპერაციებში საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

თავი II. სამსახურის ხელმძღვანელობა და პერსონალი

მუხლი 5. სამსახურის უფროსი

1. ხელმძღვანელობს და წარმართავს სამსახურის საქმიანობას და პასუხისმგებელია სამსახურის მიერ დაკისრებული ამოცანებისა და ფუნქციების შესრულებაზე.

2. წარუდგენს გამგებელს თანამდებობაზე დასანიშნად და თანამდებობიდან გასათავისუფლებლად საჯარო მოსამსახურეთა კანდიდატურებს ,,საჯარო სამსახურის შესახებ'' საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

3. წარუდგენს გამგებელს წინადადებებს სამსახურის საკადრო საკითხებთან დაკავშირებით, მოსამსახურეთა წახალისებისა და მათთვის დისციპლინუ რი პასუხისმგებლობის დაკისრების, მოსამსახურეთა მიერ მორიგი და დამატებითი შვებულების გამოყენების, მოსამსახურეთა მივლინებების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და სწავლების შესახებ.

4. განსაზღვრავს სამსახურის საქმიანობის ორგანიზებისა და დაგეგმვის წესს, სამსახურის მოსამსახურეთა თანამდებობრივ ფუნქციონალურ მოვალეობებს დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად.

5. წარუდგენს გამგებელს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს ანგარიშს სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ.

6. ხელს აწერს მის კომპეტენციას მიკუთ ვნებულ საკითხებზე სამსახურში მომზადებულ დოკუმენტებს.

7. გამგებლის წინაშე შუამდგომლობს იმ სახსრების მოწყობილობებისა და ინვენტარის გამოყოფაზე, რაც აუცილებელია სამსახურის წინაშე მდგარი ფუნქციებისა და ამოცანების შესასრულებლად.

8. ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობით მუნიციპალიტეტის მიერ განსაზღვრულ სხვა უფლება - მოვალეობებს.

9. თავის ი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტებს, აკონტროლებს მათ შესრულებას.

10. ორგანიზაციას უწევს მოქალაქეების წინადადებების, განცხადებების, საჩივრების განხილვას. აწარმოებს მათ პირად მიღებას.

11. შეასრულოს მოქმედი კანონმდებლობით და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა მოვალეობები.

მუხლი 6. სამსახურის მოსამსახურეებს უფლება აქვთ :

1. გააჩნდე თ შესაბამისი სამუშაო პირობები, ისარგებლო ნ სამსახურში საოფისე ინვენტარითა და ტექნიკით
2. თანამდებობრივ უფლებამოსილებათა განსახორციელებლად მოითხოვო ნ და მიიღო ნ ინფორმაცია გამგეობის ხელმძღვანელობისგან, სტრუქტურული ერთეულების და ტერიტორიული ორგანოებისგან;
3. დადგენილი წესით ისარგებლო ნ სასწავლო შვებულებით.
4. უარი თქვა ნ ისეთი დავალების შესრულებაზე, რომელიც არ შეესაბამება მ ათ სამუშაოთა აღწერილობას, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა .
5. მიიღონ თანამდებობრივი სარგო, პრემია და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დანამატები .
6. აინაზღაურო ნ სამსახურებრივი მივლინების ხარჯები .
7. ისარგებლო ნ ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულებით .
8. ისარგებლო ნ მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი სხვა უფლებებით.

მუხლი 7. სამსახურის მოხელე მოვალეა :
1. საქმიანობა წარმართოს მოქმედი კანონმდებლობის, ვალდებულებისა და მუნიციპალიტეტის სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად .
2. შეასრულოს შესაბამის დებულებითა და სამუშაოთა აღწერილობით განსაზღვრული სამსახურებრივი ფუნქციები .
3. უარი თქვას უკანონო დავალებების შესრულებაზე .
4. დაიცვას სამსახურის შინაგანაწესები .
5. შეასრულოს ზემდგომი თანამდებობის პირის დავალებები .
6. შეასრულოს სამუშაო გეგმებით გათვალისწინებული სამუშაოები .
7. დადგენილი პერიოდულობით და წესით, აგრეთვე ზემდგომი თანამდებობის პირის დავალების შესაბამისად მოამზადოს და წარადგინოს ანგარიშები შესრულებული სამუშაოს შესახებ .
8. გაუფრთხილდეს სამსახურის ქონებას, არ დაუშვას მისი არადანიშნულებითი გამოყენება .
9. იზრუნოს კვალიფიკაციის ამაღლებისათვის .
10. შეასრულოს მოქმედი კანონმდებლობით და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა მოვალეობები.

თავი III . დასკვნითი დებულებანი

მუხლი 8 . სამსახურის დებულების მიღება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა
1.სამსახურის დებულებას გამგებლის წარდგინებით ამტკიცებს საკრებულო „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი წესით.
2. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება დებულების დამტკიცებისათვის დადგენილი წესით.
3. სამსახურის ლიკვიდაცია და რეორგანიზაცია ხდება არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.